ც ნ ო ბ ა

დამკვეთი: ამხანაგობა „ახალი დიღმის მასივი“

საფუძველი: 12.08.2013 წ. №12/13224503-16

მისამართი: ქ.თბილისი, ლუბლიანას ქუჩის მიმდებარე ტერიტორია

საკ.კოდი: 1..13.1.18.201

პროექტის შეთანხმების შესახებ ბრძანება - №20/346 08.05.2006წ

მშენებლობის სანებართვო მოწმობა - №6/355 15.06.2008წ

ფუნქციური დანიშნულება: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის პირველი კორპუსი

კლასი: IV კლასი

ობიექტის ადგილზე შემოწმებით (10.09.13) დადგინდა:

1-7 ფასადზე ცოკოლის სართულზე შემცირებულია ფრამუგების რაოდენობა და რამოდენიმეს მონაცვლებული აქვს ადგილი, აღნიშნული ფრამუგები შეუვსებელია. შენობის მთელ სიმაღლეზე შეცვლილია ფანჯრების და ვიტრაჟების ნახატები. 2-3 და 5-6 მონაკვეთებში შენობის მთელ სიმაღლეზე სადარბაზოებში მოწყობილ ფანჯრებს მონაცვლებული აქვთ ადგილი. ამავე მონაკვეთებში სადარბაზოების შესასვლელებთან შეცვლილია საჩრდილობლების კონფიგურაცია და გაუქმებულია მის თავზე მოაჯირი. კაპიტალურ მოაჯირებზე დამატებულია ლითონის დეტალები. +18.70 ნიშნულზე 2-3 და 5-6 მონაკვეთებში შეცვლილია სამერცხლეების კონფიგურაცია. +16.50 ნიშნულზე აივნებზე მოწყობილია საჩრდილობლები. ფასადზე შემცირებულია ყველა ფანჯრის სიმაღლე 0.20 მ-ით. რელიეფი აწეულია ზევით. სახურავზე დამატებულია გამწოვი მილი. „2-2“ ღერძის მარჯვნივ შენობის მთელ სიმაღლეზე შემცირებულია ერთფრთიანი ფანჯრის გაბარიტი.

„7-1“ ფასადზე ცოკოლის სართულზე შემცირებულია ფრამუგების რაოდენობა და რამოდენიმეს მონაცვლებული აქვს ადგილი, აღნიშნული ფრამუგები შეუვსებელია.შეცვლილია ავტოფარეხში შესასვლელი კარის ნახატი. „5-3“ მონაკვეთში შენობის მთელ სიმაღლეზე შეცვლილია ფანჯრების და ვიტრაჟების ნახატები. კაპიტალურ მოაჯირებზე დამატებულია ლითონის დეტალები. +16.50 ნიშნულზე შეცვლილია მოაჯირების კონფიგურაცია. ამავე ნიშნულზე აივნებზე მოწყობილია საჩრდილობლები. ფასადზე შემცირებულია ყველა ფანჯრის სიმაღლე 0.20 მ-ით.

„დ-ა“ ფასადზე (მომიჯნავე ბლოკებთან) მოწყობილია მცირე სავენტილაციოები ღიობები და გამწოვი მილები.

„ა-დ“ ფასადზე დამატებულია ფრამუგები, მანსარდში აივნის მიმდებარედ გაუქმებულია ერთი ღიობი, ხოლო აღნიშნულ აივანზე დამატებულია საჩრდილობელი.

ფასადებზე დამატებულია გამაცხელებლები (გამათბობლის კარადები), გამწოვი მილები, ანტენები , კონდენციონერები, ფასადების მოპირკეთება და ღებვა არ შეესაბამება საპროექტოს, დასასრულებელია ნაწილი მოპირკეთებითი სამუშაოებისა, ასევე აივნებზე და ფანჯრებზე დამატებულია გისოსები. დაუსრულებელია ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ავტოფრეხში ფასადის გარეთ მოწყობილია პანდუსის გვერდით კედელი რომელზეც განთავსებულია მოაჯირი. სადარბაზოებში შეცვლილია კიბეების კონფიგურაცია. +16.50 ნიშნულზე სამანქანოებში ასასვლელი კიბეები კაპიტალურის ნაცვლად მოწყობილია ლითონის. ორივე სადარბაზოში ყველა ბინაში მანსარდებში მოწყობილია ანტრესოლები სიმაღლე 2.40 მ. შეცვლილია გადახურვის კონფიგურაცია.

ფართის ცვლილებასთან დაკავშირებით დამკვეთს წარმოსადგენი აქვს აზომვითი ნახაზი განმარტებით ბარათთან ერთად.

გვერდით ფასადის მხარეს საყრდენი ღობის კედელი და პანდუსის კედელი ცდება საკადასტრო წითელ ხაზებს.

პროექტის ხარვეზი:

შეცვლილია კოლონების გაბარიტი და რაოდენობა შესრულებულია კონსტრუქციული ნახაზის მიხედვით.

ლ.ცინცაძე

ბ.პაკელიანი



ლუბლიანას ქ. №42 მიმ.	23.08.2013
მისამართი: ქ. თბილისი,	მასშტაბი: 1:400